



შემოქმედებითი და განმავითარებელი აქტივობები

ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობები დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს სახლის პირობებში სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შესთავაზონ მოსწავლეებს მარტივი, საინტერესო და განმავითარებელი აქტივობები.


#დარჩისახლში
#ისწავლეთამაშით

ინკლუზიური განათლება - 2020 წელი

N1. აბსტრაქტული ფანჯარა

ვითარდება უნარები:

- აღქმა - ფერების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ნატიფი მოტორული უნარები
- შემოქმედებითობა



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი გამჭვირვალე ფურცლები
- მაკრატელი
- წყალი

აქტივობის აღწერა:

სთხოვეთ ბავშვს, ფერადი გამჭვირვალე ქაღალდები დაჭრას სხვადასხვა ფორმებად. დაასველოს ქაღალადი და მიაკრას ფანჯარას. ერთმანეთზე გადასული ნაჭრების იძლევა კარგ შესაძლებლობას ფერთა შერევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

N2. ბურთების ტრასა

ვითარდება უნარები:

- მსხვილი მოტორული უნარები
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- დიდი ზომის კალათი
- პლასტმასის ფერადი ბურთები
- მუყაოს ყუთები
- სკოჩი



აქტივობის აღწერა:

მუყაოს ყუთისგან დაამზადეთ ისეთი ფორმის ყუთი, როგორიც ფოტოზეა გამოსახული (მოგრძო ყუთი, რომელსაც შიგნით ჩამაგრებული აქვს მუყაოს ტრასა). სთხოვეთ ბავშვს ააგოროს ბურთი ტრასაზე, კალათის მიმართულებით. შეგიძლიათ გამოიყენოთ პლასტმასის ორი ყუთი, თუ ბავშვი ახლომდებარე ყუთში ჩააგდებს ბურთს, მას 50 ქულა ეწერება, თუ შორს მდებარე კალათში, მაშინ 100 ქულა. ბურთების სროლისას, შესაძლოა ბავშვს სთხოვოთ დაასახელოს ბურთის ფერი, ასევე დაითვალოს რამდენ ბურთს ჩააგდებს კალათში.


N3. ქუჩები და გზები

ვითარდება უნარები:

- ვიზუალურ-სივრცითი უნარი
- კოორდინაციის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ქალაქის ფერადი სკოჩები
- პატარა ზომის სათამაშო მანქანები
- მუყაოს ყუთი



აქტივობის აღწერა:

ქალაქის სკოჩები დაჭერით სხვადასხვა ზომაზე და დაკარით იატაკზე ისე, რომ შეიქმნას ქალაქის სქემა. მუყაოსგან შეგიძლიათ შექმნათ 3D შენობებიც. თამაშისას სთხოვეთ ბავშვს მაგ: დააყენოს მანქანა ავთიაქის წინ, შეიყვანოს მანქანა გარაჟში, წითელი მანქანა დააყენოს ლურჯის მარჯვნივ და ა. შ. ბავშვი უნდა ეცადოს, მანქანა ისე ამოძრავოს, რომ არც შენობებს დაეჯახოს და არც აკრძალულ ადგილას გადაიაროს (მაგალითად პარკირების ადგილას სწორად დააყენოს მანქანები).

4. გეომეტრიული ფიგურები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება
- მათემატიკური უნარების (გეომეტრიული ფიგურების აღქმა) განვითარება
- წვრილი მოტორული უნარების განვითარება
- წარმოსახვის განვითარება
- ვიზუალურ სივრცითი უნარების განვითარება



აქტივობის
განხორციელებისთვის საჭირო
რესურსები:

- ✓ პლასტელინი
- ✓ ხის ჩხირები
ან სპაგეტი

აქტივობის აღწერა: ხის ჩხირების (ან სპაგეტის) და პლასტელინის გამოყენებით შექმენით თავდაპირველად მონაკვეთები, შემდეგ სამკუთხედი, ოთხკუთხედი, თავიდან დაიწყეთ ორგანზომილებიანი, შემდეგ კი გააგრძელეთ სამგანზომილებიანი და სივრცული ფიგურების შექმნით, როგორც სურათზეა ნაჩვენები. პლასტელინის ბურთები გამოიყენეთ სპაგეტის დასამაგრებლად ფიგურების შექმნის პროცესში.

5. გეომეტრიული ფიგურების აწყობა ჩხირებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- მათემატიკური უნარების (გეომეტრიული ფიგურების აღქმა) განვითარება
- წვრილი მოტორული უნარების განვითარება
- ვიზუალურ-სივრცითი უნარების განვითარება



აქტივობის
განხორციელებისთვის საჭირო
რესურსები:

- ✓ საღებავები, ფუნჯი
- ✓ ხის ჯოხები
- ✓ ფურცლები



აქტივობის აღწერა: ა) ხის სამედიცინო ჯოხები შევლებით სხვადასხვა ფერის საღებავით და მათი გამოყენებით შევქმნათ სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები. ბ) გამოვჭრათ ქაღალდისგან ის გეომეტრიული ფიგურები, რომლებიც შექმნილი გვაქვს ხის ჯოხების გამოყენებით და მოვათავსოთ შიგნით. გ) ხის ჯოხებით შესაძლებელია

შევქმნათ სხვადასხვა კონფიგურაცია და ბავშვმა მიწოდებული ნიმუშის შემდეგ შექმნას ანალოგიური კონფიგურაცია ჯოხების გამოყენებით.

6. ბოთლის სახურავებით აქტივობები



აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- მათემატიკური უნარების(ციფრების ცნობა, მიმატება, გამოკლება, გამრავლება) განვითარება
- წვრილი მოტორული უნარების განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ბოთლის სახურავები
- ✓ მარკერი
- ✓ წყალი
- ✓ ჯამი
- ✓ კოვზი



აქტივობის აღწერა: ა) ბოთლის სახურავები მოვათავსოთ წყლით სავსე ჯამში და ბავშვს ვთხოვოთ კოვზის გამოყენებით ამოიღოს თითო-თითო ჯამიდან. ბ) გადმოვატრიალოთ ბოთლის

სახურავები და დავაწეროთ მარკერით ციფრები (რიცხვები). გ) მოვამზადოთ მათემატიკური დაფა (იხილეთ ნიმუში სურათზე) და თითოეული არითმეტიკული მოქმედების გვერდით დავამაგროთ ბოთლის თავსახური შესაბამისი რიცხვით.

კომენტარი: მათემატიკური დავალების მიზანი შეარჩიეთ მოსწავლის განვითარების შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს იდენტური ციფრების ცნობა, 10-ის ფარგლებში ანგარიში, ან გამრავლების ტაბულაც კი, თუ ამ უნარის განვითარებისთვის მოსწავლე მზად არის.



7. აპლიკაცია ფოთლებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარის განვითარება;
- მეტყველების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა;

აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:

- ✓ მცენარეების
ფოთლები
- ✓ წებო
- ✓ ქაღალდი



აქტივობის აღწერა: ამ აქტივობისთვის დაგჭირდებათ სხვადასხვა ფერის და ფორმის ფოთლები, რომლებიც შეგიძლიათ მოაგროვოთ ეზოში სეირნობის დროს. დახატეთ ან ამობეჭდეთ ფურცელზე სასურველი ნახატი. შემდეგ სხვადასხვა ფოთლები დააწებეთ ნახატს. წაახალისეთ ბავშვი თავად აირჩიოს ფოთლები, ფერები, თავად დახატოს ნახატი ან შემოგთავაზოთ ნახატის იდეები. ეს აქტივობა გამოიყენეთ მეტყველების განვითარებისთვისაც: შეეკითხეთ რა ნახატს ირჩევს, რა ფერებს და რატომ? და ა.შ. რაც უფრო დიდია ბავშვის ასაკი და შესაძლებლობები, მით უფრო რთული კომპოზიციის გაკეთება შესთავაზეთ მას.

8. თამაში ბამბის ქულებით (გუნდებით)

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- კოორდინაციის უნარის განვითარება;
- სამეტყველო აპარატის განვითარება;
- მეტყველების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარის განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- მათემატიკური უნარის განვითარება (დათვლა);

*აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:*

- ✓ ბამბა
- ✓ კოქტეილის
საწრუპი
- ✓ კონტეინერები



აქტივობის აღწერა: ბამბისგან გააკეთეთ პატარა გუნდები.

დაახლოებით 30 ცალი. შეგიძლიათ ფერადი ბურთულების დამზადებაც (შეღებვა). ბავშვის მიზანია საწრუპით ამოიღოს ბამბის გუნდები კონტეინერიდან და ჩააწყოს მითითებულ კონტეინერში ხელის შეხების გარეშე, მხოლოდ საწრუპით. შებერვის მოქმედების ნაცვლად აქ საჭიროა შეისრუტოს ბამბა. თამაში შეგიძლიათ სხვადასხვა ვარიანტებად:

- სისწრაფეზე: რამდენ ბამბის გუნდას გადაიტანს 30 წამში (1 წუთში და ა.შ.)
- შეჯიბრი: შეეჯიბროს სხვა ბავშვს ან თქვენ, ვინ უფრო სწრაფად გადაიტანს ბამბას.
- დათვლა: აგორებთ კამათელს ან უჩვენებთ ბარათს რიცხვით (კონტეინერს რიცხვით) და მითითებული რაოდენობა უნდა დათვალოს და გადაიტანოს კონტეინერში.




9. ფიგურების აწყობა ნიმუშით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- სივრცითი აზროვნების განვითარება;
- მოდელირება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ სპაგეტი (ასანთის ან კბილის ჩხირები)
- ✓ ქაღალდის ფურცლები



აქტივობის აღწერა: ამ აქტივობისთვის თქვენ დაგჭირდებათ სპაგეტი (შეგიძლიათ გამოიყენოთ ასანთის ან კბილის ჩხირები). ფურცელზე დახატეთ სხვადასხვა ფიგურები. ბავშვი ამ ფიგურების მიხედვით აწყობს დაჭრილ ჩხირებს. სპაგეტი წინასწარ დაჭერით საჭირო ზომაზე (ნახატის შესაბამისად). შეგიძლიათ დახატოთ გეომეტრიული ფიგურები, სახლები, კაცუნები და ა.შ. ბავშვი ან თავად ნახატზე აწყობს ჩხირებს ან უფრო რთული ვარიანტი - აგებს ფურცელზე დახატული მოდელის მიხედვით.



10. რიცხვისა და რაოდენობის შესაბამება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ციფრების ცნობა
- რაოდენობის ცნების გაგება
- რიცხვების დაკავშირება რაოდენობასთან
- ყურადღების კონცენტრაცია
- ნატიფი მოტორული უნარები



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაოს ქაღალდი
- სარეცხის სარჭები
- მაკრატელი
- წებო
- ფანქრები ან ფლომასტერები

აქტივობის აღწერა:

მუყაო გამოჭერით წრის ფორმით. ფანქრით გაყავით 10 ტოლ ნაწილად. თითოეულ ნაწილში ჩახატეთ განსხვავებული რაოდენობის რაიმე სიმბოლო ან ფიგურა (10-ის ფარგლებში). სარეცხის სარჭებზე დააწებეთ ან დააწერეთ რაოდენობების შესაბამისი რიცხვები. სთხოვეთ მოსწავლეს, სარჭები დაამაგროს შესაბამისი რაოდენობის გამოსახულებასთან.



11. რიცხვები და მათი შემადგენლობა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- რაოდენობის ცნების გაგება
- რიცხვების დაკავშირება რაოდენობასთან
- რიცხვების დაშლა მის შემადგენელ ნაწილებად
- ყურადღების კონცენტრაცია



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი ფურცლები
- დომინო
- ფანქრები

აქტივობის აღწერა:

ბარათების ფორმის ფურცლებზე დაწერეთ სხვადასხვა რიცხვები. თავდაპირველად, სასურველია, ჩამოწერილი რიცხვები იყოს 10-ის ფარგლებში. მიაწოდეთ დომინოები და სთხოვეთ, დაწერილ რიცხვებს რაოდენობის მიხედვით შეუსაბამოს რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი. საწყის ეტაპზე, აჩვენეთ ნიმუში. ნელ-ნელა გაზარდეთ რიცხვები.

12. სიმეტრია

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ-სივრცითი უნარები
- ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია/კოპირება
- ნატიფი მოტორული უნარები



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფურცლები
- ფანქარი




აქტივობის აღწერა:

ფურცლის შუაში ჩამოუსვით ხაზი. ზედა მარცხენა ან მარჯვენა კუთხეში დახატეთ პატარა და მარტივი ფიგურა (მაგალითად, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, რომბი, წრე) ან საგანი (მაგალითად, ბურთი, ყვავილი, ფოთოლი, ჭიქა და ა.შ.). შუაში გავლებული ხაზის მარცხენა ნაწილში დაიწყეთ თქვენ მიერ შერჩეული გამოსახულების დიდი ვარიანტის ხატვა. დახატეთ მხოლოდ ფიგურის ნახევარი, ხოლო მოსწავლეს სთხოვეთ დაასრულოს ნახატი ანუ მარჯვენა მხარეს მიუხატოს მეორე სიმეტრიული ნახევარი. (აჩვენეთ კუთხეში დახატული პატარა ნახატი, რათა უკეთ მიხვდეს თუ როგორი გამოსახულება უნდა მიიღოს საბოლოოდ).

13. ფონოლოგიური უნარის სავარჯიშო

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ვიზუალურ-სივრცითი უნარები
- ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია/კოპირება
- ნატიფი მოტორული უნარები



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- პატარა წებოვანი ფურცლები
- სურათებიანი წიგნი
- ფანქარი

აქტივობის აღწერა:

პატარა წებოვან ფურცლებზე დააწერეთ სხვადასხვა ასო. სურათებიან წიგნში აარჩიეთ ერთ-ერთი გვერდი. დაასახელეთ მასზე გამოსახული საგნები მოსწავლესთან ერთად. სთხოვეთ მოსწავლეს, თითოეულ სურათზე დააწებოს ის ასოები, რომლებზეც იწყება გამოსახული საგნები.

14. ვქანაობთ წინ და უკან

ვითარდება უნარები:

- წონასწორობის დაცვა
- ხელების და ფეხების კოორდინირებული მოძრაობა
- მოქმედების დაგეგმვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

დიდი ბალიში, მუთაქა ან რომელიმე დიდი ზომის რბილი



აქტივობის აღწერა: დააწვინეთ ბავშვი დიდ ბალიშზე მუცლით ან ზურგით და აქანავეთ წინ და უკან. ამ დროს, ხელით აუცილებლად დაუფიქსირეთ წელი და ზურგი. სასურველია, თუ თან ბავშვს უმღერებთ რაიმე სიმღერას ან ქანაობის პარალელურად ეტყვიტ რომელიმე მარტივ ლექსს.



15. სახტუნაო თოკზე გადახტომა

ვითარდება უნარები:

- წონასწორობის დაცვა
- ხელების და ფეხების კოორდინირებული მოძრაობა
- მოქმედების დაგეგმვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- სახტუნაო თოკი



აქტივობის აღწერა: ბავშვს უდებთ იატაკზე სახტუნაო თოკს და აჩვენებთ, როგორ გადახტეს ცალი ფეხით. ჯერ თქვენ ხტებით, შემდეგ ბავშვს ჩაკიდებთ ხელს და სთხოვთ, გადახტეს, თან აჩვენებთ როგორ უნდა იდგეს ცალ ფეხზე.

16. ასოების გამოძერწვა

ვითარდება უნარები:

- ასოების დასწავლა
- კითხვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- საძერწი ცომი და/ ან თიხა

აქტივობის აღწერა: ბავშვს წინ უდევს ასოს გამოსახულება, თქვენ მკაფიოდ წარმოთქვამთ ასოს, სთხოვთ ბავშვსაც, რომ მანაც წარმოთქვას იგივე ასო (რომლის გამოსახულებაც წინ უდევს). შემდეგ, თქვენ და ბავშვი დამოუკიდებლად ძერწავთ შესაბამის ასოს. ყოველ ჯერზე ამ გზით ძერწავთ მხოლოდ 2-3 ასოს. დაიწყეთ ხმოვნებით და გამოძერწეთ ისინი ერთი ფერით. თანხმოვნები გამოძერწეთ სხვა ფერით. ასე გამოძერწეთ ყველა ასო. ამის შემდეგ, შეგიძლიათ ასოების 2 კომპლექტი გამოძერწოთ თიხისგან (თეთრი თიხა, რომელიც მალე შრება ჰაერზე) და გააფერადოთ, თუ არ გაქვთ თიხა, შეგიძლიათ მასალად გამოიყენოთ ცომი (ამისთვის დაგჭირდებათ ფქვილი 1 ჭიქა, მარილი ნახევარი ჭიქა, წყალი).



შემდგომ ეტაპზე კი, თქვენი გამოძერწილი ასოებისგან შეგიძლიათ დაიწყოთ 2-3 ასოსგან შემდგარი სიტყვების აწყობა.

17. არარსებული სიტყვებით თამაში

ვითარდება უნარები:

- ფონოლოგიური ანალიზი
- ასოების ვიზუალური ხატის დამახსოვრება
- ასოების კოპირების უნარის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ბარათზე დაწერილი არარსებული სიტყვები
- ფლომასტერი, ფურცელი,
- თამაშში მონაწილეობენ ოჯახის წევრები

აქტივობის აღწერა: ჩამოწერეთ ბარათებზე ფსევდოსიტყვები, უაზრო სიტყვები, რომელთაც მნიშვნელობა არა აქვთ, **მაგ: ბარდაში, გულდასტრი, მანდიქა და ა.შ.** ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი. ბავშვს გამოთქმით ეუბნებით სიტყვას და სთხოვთ, გაიმეოროს, ისე, რომ არ უჩვენებთ ბარათს. შემდეგ ეკითხებით, თუ რა ბგერაზე იწყება სიტყვა, რომელია მესამე, მეოთხე ბგერა. ამის შემდეგ, წინ უდებით ბარათს და სთხოვთ, გადაწეროს სიტყვა და გადაწერის პროცესში თან ხმამაღლა გამოთქვას ბგერები. თუ ბავშვი შეცდომას უშვებს, თქვენ შეცდომებს არ უსწორებთ, მხოლოდ ხმამაღლა იმეორებით სწორად. მეორე დღეს კი იმეორებით იგივე პროცედურას, იგივე სიტყვებზე.



კომენტარი: შეგიძლიათ, აღნიშნულ აქტივობას თამაშის სახე მისცეთ და მშობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმა ერთობლივად ითამაშოთ. და თქვენს შვილებთან ერთად ითამაშოთ რაც უფრო სახალისოს გახდის პროცესს, მაგალითად, ერთი თქვენგანი იგონებს სიტყვას, მეორე იმეორებს, მესამე ასახელებს პირველ ბგერას, შემდეგი მონაწილე ბოლო ბგერას და ა.შ შეგიძლიათ შეცვალოთ როლები.

18. თასმის გაყრა მუყაოში


აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარის განვითარება;



**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ მუყაო;
- ✓ თასმა;
- ✓ მარკერი.



აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ მუყაოს ქაღალდი და თასმა. მუყაოზე ხატავთ ფეხსაცმელს და თასმების ადგილს ხვრეტთ იმ ზომამდე, რომ თასმის გაყრა იყოს შესაძლებელი. პირველ ეტაპზე შესაძლოა უფროსმა თავად შეასრულოს აქტივობა, შემდეგ კი ბავშვმა. თასმის გაყრის მოქმედებები ასწავლეთ ნაბიჯ-ნაბიჯ, გამოიყენეთ მოდელირება, წახალისება.

19. თავსახურების აცმა თასმაზე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარის განვითარება.



*აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:*

- ✓ მუყაოს ყუთი
- ✓ ბოთლის
პლასტმასის
თავსახურები;
- ✓ თოკი.

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ მუყაოს ყუთი, ბოთლის პლასტმასის თავსახურები და თასმა. მუყაოს ყუთს უნდა ამოუჭრათ სამი გვერდი, შიგნით მოათავსოთ გახვრეტილი პლასტმასის თავსახურები. ბავშვი დგება ამოუჭრელი გვერდის მხარეს, შიგნით შეუხედავად იღებს თასმას და იწყებს თავსახურების აცმას.

20. ბოთლები „წელიწადის 4 დრო“

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აზროვნების განვითარება;
- ფანტაზიის უნარის განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ შუშის ან პლასტმასის ბოთლები;
- ✓ ბამბა;
- ✓ ხის ან ყვავილის ტოტი;
- ✓ ნამდვილი ან პლასტმასის ყვავილის ფურცლები;
- ✓ წყლის საღებავები;
- ✓ პატარა თეთრი ქვები;
- ✓ წყალი.

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ შუშის ან პლასტმასის 4 ბოთლი, რომლებშიც ჩაასხამთ წყალს, მოათავსებთ კონკრეტული სეზონისთვის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) შესაბამის შიგთავსს და დაამატებთ საღებავს. მაგალითად, ზამთრის ბოთლის შიგთავსი შეიძლება იყოს დანაწევრებული ბამბა, ან თეთრი ბრჭყვიალა წვიმა, რომელიც თოვლის იმიტაციას შექმნის. ზაფხულის ბოთლში შეიძლება მოთავსდეს ყვითელი ქვიშა, ნიჟარები, პატარა თეთრი ქვები და წყალი შეიფეროს ცისფრად.

სეზონების ბოთლები მზადდება ბავშვის მიერ იმ მასალით, რაც სახლის გარემოში მოიძებნება. უსაფრთხოებისთვის უფროსი უნდა ადევნებდეს თვალყურს ბავშვს.

21. ციფრისა და რაოდენობის დაკავშირება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მათემატიკური უნარის განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარის განვითარება;
- ხელისა და თვალის კოორდინაციის უნარის განვითარება.



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მაფინის ქაღალდის ფორმები, მუყაოს ქაღალდები;
- ✓ ბოთლის თავსახურები;
- ✓ მარკერი;
- ✓ თეჯის ან ბამბის ბურთულები;
- ✓ სალათის ან შაქრის ასაღები.

აქტივობის აღწერა: მაფინის ქაღალდის ფორმებში წერთ ციფრებს 1-დან 10-მდე. ბავშვი შაქრის ან სალათის ასაღებით იღებს თეჯის ან ბამბის ბურთულებს სათითაოდ და ათავსებს მოცემული ციფრის შესაბამისი რაოდენობის ბურთულებს მაფინის ქაღალდის ფორმებში.


ამ აქტივობის მეორე ვარიანტის მიხედვით, მუყაოზე წერთ ციფრებს მარკერით, ციფრის ზემოთ ათავსებთ შესაბამისი რაოდენობის ბოთლის თავსახურებს, ბავშვი შაქრის ასაღებით იღებს ბურთულებს სათითაოდ და ათავსებს თავსახურებში მოცემული ციფრის შესაბამის რაოდენობას.

მეტი მრავალფეროვნებისთვის შესაძლოა ბურთულები ფერადი იყოს და რაოდენობასთან ერთად ფერების დაჯგუფებაც განხორციელდეს.

22. იდენტური სურათების დაჯგუფება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმის უნარის განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- ვიზუალური მეხსიერების უნარის



**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ ლუპა;
- ✓ ფერადი და თეთრი ქაღალდის ფურცლები;
- ✓ მაკრატელი.



აქტივობის აღწერა:

წინასწარ დაჭრილ კვადრატის ფორმის ფურცლებზე ხატავთ სხვადასხვა სახის ფიფქებს, რომლებიც ერთი მეხედვით გვანან ერთმანეთს, თუმცა დეტალებით განსხვავდებიან. იმავე ზომის ფურცლებზე ხატავთ უკვე დახატული ფიფქების ანალოგს, თუმცა გაცილებით პატარა ზომისას, ისე, რომ ლუპის გარეშე რთული იყოს მათი დანახვა. ბავშვმა ლუპის გამოყენებით უნდა მოძებნოს დიდი ზომის ფიფქების ანალოგი პატარა ფიფქები.

ფიფქები შესაძლოა ჩანაცვლდეს ნებისმიერი ნახატი, ასევე შესაძლოა, ამ აქტივობის უფრო გამარტივებული ფორმით შეთავაზება: ხატავთ სხვადასხვა ობიექტებს (დიდი ზომის) და იმავე ობიექტების ანალოგს (პატარა ზომის) ეძებს ბავშვი ლუპით და აწყვილებს.

23. ხატვა ხელებით და გუაშებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- ყურადღების კონცენტრაციის განვითარება
- აღქმა და ფერების გარჩევა
- წარმოსახვა
- შემოქმედებითობა

რესურსები:

- გუაშები
- ფუნჯები
- თეფშები
- სახატავი რვეული
- წყალი



აქტივობის აღწერა: აქტივობისთვის დაგჭირდებათ თეფში, სადაც თქვენთვის სასურველი ფერის საღებავს გადმოასხამთ და გახსნით ცოტაოდენ წყალში, გამზადებულ საღებავში ბავშვი ჩადებს ხელის გულს და

შემდეგ დადებს წინასწარ გამზადებულ ფურცელზე. ფურცელზე დახატული ხელი შეგიძლიათ გადააკეთოთ სხვადასხვა არსებებად ან საგნებად თქვენი და ბავშვის ფანტაზიის მიხედვით. პროცესის დროს ბავშვს აადწერინეთ თუ რას ხატავს, რა ფერია ნახატი და ასე შემდეგ



24. მოძრაობის აქტივობები

ვითარდება უნარები:

- მსხვილი მოტორიკა
- წონასწორობა/ბალანსი
- სხეულის ფლობა
- მოტორული იმიტაცია
- კოორდინირებული მოძრაობები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ნახაზები იატაკზე (ისრები, ხაზები და ა.შ.)

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობის შესრულებისთვის თქვენ იყენებთ იატაკზე წინასწარ დახაზულ ისრებს ან ხაზებს, ბავშვს აძლევთ ვერბალურ ინსტრუქციას (შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოდელირება), თუ როგორ უნდა შეასრულოს ბავშვმა აქტივობა. ეს შეიძლება იყოს ხაზზე სიარული ან ისრების მიმართულებით ნახტომების გაკეთება (წინ/შემოთ ხტომა).

- მიჰყევი ხაზებს ნელი სვლით
- დააკვირდი ისრებს და გადახტი ორივე ფეხით შესაბამისი მიმართულებით
- ხაზებზე გაიარე უკუსვლით, ისე რომ არ გადასცდე მათ



25. თამაში „სოსისის როლი“

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- დრმა მგრძნობელობა
- საკუთარი სხეულის ფლობა
- ემოციური რეგულაცია



აქტივობის აღწერა:

ეს აქტივობა შესანიშნავია მათთვის, ვისაც უყვარს მძიმე ზეწოლა, ძლიერი ჩახუტება. ეს არის მოსადუნებელი და დასამშვიდებელი აქტივობა.

- დადეთ სავარჯიშო ლეიბი, ან პლუდი იატაკზე.
- უთხარით ბავშვს დაწვეს ისე, რომ თავი ჰქონდეს ლეიბის გარეთ.
- მჭიდროდ გაახვიეთ ბავშვი ლეიბში.
- ახლა კი მზად ხართ გააკეთოთ სოსისის როლი...მთლიან ტანზე გააკეთეთ მოძრაობები და თქვით:
 - მოდი დავჭრათ ხახვი (დაჭრის მოძრაობები)
 - ჩავდოთ ხორცი (დაწოლის, გასრესის მოძრაობები)
 - დავასხათ სოუსი (დაწოლის მოძრაობები)
 - ჩავდოთ კვერცხი (გასრესის მოძრაობები)
 - მოდი ვჭამოთ სოსისის როლი (აღების მოძრაობები)
 - გახსენით (შესაძლოა გაკეთდეს სწრაფად, ან ნელა)

26. სიარული სხვადასხვა ფაქტურებზე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტაქტილური აღქმა/შეგრძნება
- ფერების აღქმა
- ტექსტურის/ფაქტურის აღქმა (ტემპერატურა, ტექსტურის მასა და ა.შ.)

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ სხვადასხვა ფაქტურის ხალიჩები ან ნაჭრები, შეიძლება განსხვავება იყოს ფერში, ზომაში და ქსოვილში და ა.შ. ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ კონტეინერები სხვადასხვა შიგთავსით, მაგ: ქვიშა, ბურღულეული, წყალი, კენჭები და ა.შ.



27. თამაში „ფერები ბანაობისას“

ვითარდება უნარები:

- ფერების აღქმა
- ფერების სახელდება
- ტაქტილური შეგრძნება
- ყურადღების კონცენტრაცია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ხელის ფერადი საღებავები, აბაზანის ქაფი, ბუშტები, ბოთლების თავსახურები.

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობის შესრულებისთვის თქვენ დაგჭირდებათ სხვადასხვა ფერადი საგნები, რაც მოგეპოვებათ სახლის გარემოში და შესაძლებელია წყალში გამოყენება. პროცესი შეგიძლიათ დაიწყოთ 2 ფერით და ეტაპობრივად დაამატოთ ფერები, ეს შეიძლება იყოს ერთგვაროვანი ან შერეული, მაგ: მაგარი საგნები, რბილი საგნები და ა.შ.



28. აქტივობა: სახის მოხატვა/შეღებვა

ვითარდება უნარები:

- ფერების აღქმა
- ფერების სახელდება
- ტაქტილური შეგრძნება
- ყურადღების კონცენტრაცია
- სახელდება (სხეულის ნაწილების)

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ხელის ფერადი საღებავები, სარკე, სხეულის ნაწილების სურათები

აქტივობების ვარიაციები:

- სახის სურათის გამოყენებით აჩვენებთ ბავშვს, სად წაუსმევთ საღებავს. გაახმოვანეთ ეს ბავშვთან, მაგ: ლურჯი ცხვირი, წითელი ლოყები, ყვითელი ნიკაპი და ა.შ.
- შეღებეთ ერთმანეთი, ან ჩაახედეთ ბავშვს სარკეში და თვითონ შეღებოს საკუთარი თავი.
- ხშირად ჩაახედეთ სარკეში და შეადარეთ სურათს (სთხოვეთ გადააკოპიროს იგივე ფერები ან გამოიყენეთ მოდელირება)



29. ფერადი მაკარონების მძივი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა;
- წარმოსახვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- გუაშები
- წყალი
- პარკი
- მაკარონი
- თეფში
- ძაფი



აქტივობის აღწერა:

აიღებთ პარკს რომელსაც თავი კარგად ეკვრება, ჩაყრით მაკარონს, დაასხამთ სასურველი ფერის გუაშს და ცოტაოდენ წყალს. პარკს თავს მოუკრავთ და მაკარონს გუაშებში აურევთ სანამ მთლიანად არ შეიღებება. შეღებილ მაკარონს გადმოიტანთ თეფშზე და გააშრობთ. შეგიძლიათ მაკარონები გააშრობოთ. შეღებილი მაკარონებისგან



სხვადასხვა ფერის გუაშებით შეღებოთ და გააშრობთ. შეღებილი მაკარონებისგან შეგიძლია ააწყოთ მძივები და სამაჯურები.

30. მოდი ერთად ვიხტუნოთ

ვითარდება შემდეგი
უნარები:

- მსხვილი მოტორული;
- წონასწორობის დაცვა;
- სხეულის აღქმა;
- ყურადღება;



აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ დაგჭირდებათ: ფერადი ფურცლები, ფეხსაცმელი, ფანქარი და მაკრატელი. სთხოვეთ ბავშვს შეარჩიოს მისი საყვარელი ფერის ფურცელი. აიღეთ სუფთა ფეხსაცმელი და ფერად ფურცელზე ფანქრით შემოხაზეთ მისი ფორმა. ფეხის ფორმა 6-დან 10 წყვილამდე გამოჭერით. შემდეგ შეარჩიეთ ნეიტრალური ფერი და გამოჭერით ფეხსაცმლის ზომის წრე, ასევე 6-დან 10 ცალამდე (ფეხსაცმლის

ფორმის რაოდენობა, დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე და დავალების სირთულეზე). გამოჭრილი ფიგურები დადეთ ან დააკარით იატაკზე, ისე როგორც სურათზეა მოცემული. ბავშვს სთხოვეთ დახტეს მის საყვარელ ფერზე, ისე როგორც ის იატაკზე დევს ან აკრავს. აქტივობა შეგიძლიათ სხვადასხვანაირად გაართულოთ ან გაამარტივოთ. 1) ფეხის ფორმები დადოთ წრისგან შედარებით მოშორებით ან ახლოს. 2) ზოგ შემთხვევაში ბავშვი გადახტეს ცალი ფეხით. 3) შემოიტანოთ მესამე ფერი რომელზეც არ უნდა დახტეს და ა.შ

აქტივობის განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:


- ✓ მაკრატელი;
- ✓ ფეხსაცმელი;
- ✓ ფერადი ფურცლები;
- ✓ ფანქარი;



31. ანგარიში 20-ის ფარგლებში


ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია
- მათემატიკური უნარების გაუმჯობესება



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თაბახის ფურცელი (A4)
- სახაზავი
- მაკრატელი
- მრგვლად ამოჭრილი ორი სხვადასხვა ფერის ფურცელი



აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის დაგჭირდებათ A4 ფორმატის თაბახის ფურცელი, სახაზავი, მაკრატელი და მრგვლად ამოჭრილი ორი სხვადასხვა ფერის ფურცელი. დასაწყისში ფურცელზე სახაზავის საშუალებით დახაზე ორი ერთნაირი ცხრილი (5 ვერტიკალური კუბიკი და 2 ჰორიზონტალური). ამ ცხრილების მაღლა დახაზეთ ერთი გრძელი მართკუთხედი სადაც შემდეგ მოათავსებთ იგივე ზომის ფურცელზე დაწერილი რიცხვების მოქმედებას. ესეთი მოდელი, რომელზეც რიცხვებია დაწერილი 20-ის ფარგლებში შეგიძლიათ მაქსიმალური რაოდენობა გამოჭრათ. შემდეგ გამოჭერით 10 ერთი ფერის (პირობითად წითელი) და 10 მეორე ფერის მრგვალი სტიკერი, რომელიც თავისუფლად მოათავსდება უჯრებში. ქვემოთ შეგიძლიათ ზემოთ მიღებული რიცხვის სხვა ვარიაციებიც განვიხილოთ მაგ: $5+5=10$ / $7+3=10$

32. პერსონაჟების ქვებზე გადმოხატვა



ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- წვრილი მოტორიკა
- ყურადღების კონცენტრაცია
- ვიზუალურ-მოტორული უნარის განვითარება
- შემოქმედებითი უნარების განვითარება
- წარმოსახვის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- სხვადასხვა ფორმის ქვები
- პერსონაჟების სურათების მოძიება
- ფუნჯები
- საღებავები



აქტივობის აღწერა: აქტივობის განხორციელებისთვის დაგჭირდებათ სხვადასხვა ფორმის ქვები, პერსონაჟების სურათების მოძიება დათვალიერება ან წარმოსახვა, ფუნჯები და საღებავები. პირველ რიგში დაათვალიერეთ პერსონაჟები, აირჩიეთ რომელი პერსონაჟის გადმოხატვა გსურთ ბავშვთან ერთად. მოიძიეთ მსგავსი ფორმის ქვები ეზოში სეირნობის დროს, ჰკითხეთ ბავშვს რომელ პერსონაჟს ასახავს ის კარგად. შემდეგ ფუნჯებისა და საღებავების საშუალებით გააფერადეთ ქვები.

33. თითებით ხატვა



ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- წვრილი მოტორიკა
- ყურადღების კონცენტრაცია
- ვიზუალურ-მოტორული უნარის განვითარება
- შემოქმედებითი უნარების განვითარება
- წარმოსახვის უნარი

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თაბახის ფურცლები
- საღებავები
- ფლომასტრები

აქტივობის აღწერა: აქტივობის განხორციელებისთვის დაგჭირდებათ თაბახის ფურცლები, საღებავები და ფლომასტერები ან ფერადი ფანქრები. პირველ რიგში დახატეთ ხის სილუეტი ფანქრებით ან საღებავებით. შემდეგ საღებავი დაასხით ცალკე ფურცელზე და დაადეთ თითი შემდეგ კი ხის სილუეტის ბოლოებში დადეთ თითი. შეგიძლიათ აირჩიოთ აქტივობის თემატიკად წელიწადის დროები და განიხილოთ ისინი. რომელ სეზონზე როგორ გამოიყურება ხე შეეცადეთ გამოიყენოთ შესაფერისი ფერები.



34. ნიმუშის კოპირება

ვითარდება უნარები:


- მხედველობითი აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია
- ნატიფი მოტორიკა
- ვიზუალურ - სივრცითი უნარები
- ფერების ცნობა/დასახელება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ყურის ჩხირები
- A4 ზომის ფურცელი
- ფლომასტერი/ფანქრები/საღებავები

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობის შესრულებისთვის თქვენ უნდა შეღებოთ ყურის ჩხირის ბამბები სხვადასხვა ფერით, პროცესში ჩართეთ ბავშვიც, დაასახელეთ ფერები. შემდეგ ფურცელზე დახატეთ შეღებილი ყურის ჩხირების ნიმუშის გამოყენებით სხვადასხვა ფიგურები. პირველ ეტაპზე ბავშვს სთხოვეთ, ფურცელზე დახატულ ფიგურას შეუსაბამოს ყურის ჩხირები და ზემოდან დააწყოს. მას მერე რაც თავისუფლად შეძლებს ამ აქტივობის შესრულებას, გაართულებთ დავალებას, თხოვეთ სურათზე დახატული ფიგურის მსგავსი ნიმუში ააწყოს მაგიდაზე.



35. როგორ მოვამზადოთ პლასტელინი სახლში

საჭირო რესურსები:

- ✓ ფქვილი
- ✓ მარილი
- ✓ წყალი
- ✓ ზეთი
- ✓ ფერადი საღებავები



მომზადების წესი:

შეურიეთ 1 ჭიქა ფქვილი, $\frac{1}{2}$ ჭიქა მარილი, 1 ჩაის კოვზი ზეთი და $\frac{3}{4}$ ჭიქა წყალი. მოზილეთ, სანამ არ მიიღებთ ცომის კონსისტენციას. იმ შემთხვევაში, თუ ცომი გეკრობათ ხელზე, დაუმატეთ ცოტა ფქვილი. დაუმატეთ ფერები, თუ ფერადი პლასტელინის მიღება გსურთ. მომზადების პროცესში ჩართეთ ბავშვი, ხოლო შემდეგ მიიღეთ სიამოვნება ერთად თამაშით.



36. ნიმუშის კოპირება

ვითარდება უნარები:

- ყურადღების კონცენტრაცია
- ნატიფი მოტორიკა
- ვიზუალურ-სივრცითი უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ყუთი
- მაშები
- კუბიკები ან/და სხვადასხვა ნივთები
- ძაფი

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობის შესრულებისთვის ყუთში ჩაყარეთ კუბიკები, ან საშუალო ზომის ნივთები, გააბით ძაფები, მიეცით ბავშვს მაშები (ნამცხვრების, ან ფუნთიშეულის ასაღები სამზარეულოს ნივთი) და თხოვეთ ძაფებიდან ამოაძვრიოს მაშების დახმარებით ჩაყრილი ნივთები.



37. მიზანში სროლა

ვითარდება უნარები:

- მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- თვალისა და ხელის კოორდინაციის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- წყლის ცარიელი პლასტიკატის ჭურჭელი (8-10 ლიტრიანი)
- ფოლგა

აქტივობის აღწერა: პლასტიკატზე გვერდიდან გამოვჭრით დიდი ზომის წრეს და პლასტიკატს დავდგამთ მაგიდაზე ან სკამზე. ფოლგისაგან გავაკეთებთ ბურთებს. შეჯიბრის ხასიათი რომ მივცეთ, ბავშვთან ერთად ვიწყებთ ბურთების სროლას რიგ-რიგობით, რათა მოვარტყათ მიზანში და ბურთი მოთავსდეს პლასტიკის ბოცაში.



38. მოძებნე შესაბამისი ფერი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების

განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორიკის განვითარება
- ფერების აღქმა
- საგნების გადათვლა

რესურსები:

- სხვადასხვა ფერის სარეცხის სარჭები
- ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი წრეები



აქტივობის აღწერა: ბავშვმა სხვადასხვა ფერის სარჭები უნდა დაამაგროს შესაბამისი ფერის გამოჭრილ წრეზე და შემდეგ დაითვალოს სად რამდენი სარჭია.

39. მარცვლეულის დახარისხება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების

განვითარების ხელშეწყობა:

- ნატიფი მოტორიკის განვითარება
- ტაქტილური აღქმის უნარის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- 1 დიდი ზომის კონტეინერი, სადაც არეულად მოთავსებულია ლობიო, წიწიბურა და ბარდა
- 3 ცარიელი მცირე ზომის კონტეინერი

აქტივობის აღწერა: ბავშვი ხუჭავს თვალებს და დიდი ზომის კონტეინერიდან იღებს სხვადასხვა მარცვლეულს, რომელიც უნდა გადაიტანოს და დააჯგუფოს შესაბამის კონტეინერებში. თუ ბავშვს პირველად თამაშს მსგავსი პროდუქტით, ჯერ თვალის დახუჭვის სთხოვეთ დახარისხება, სთხოვეთ გააკეთოს ნიმუშის მიხედვით, მოახდინეთ ფერების, ზომის სახელდებაც: თეთრი, წითელი, პატარ, უფრო დიდი და ა. შ



40. ცხოველების თეატრი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ცხოველების გარჩევა, დასახელება
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- მეტყველების განვითარება

**აქტივობის
განხორციელებისთვის
საჭირო რესურსები:**

- ✓ მუყაო
- ✓ მაკრატელი
- ✓ საღებავი

აქტივობის აღწერა:

გამოჭერით ბავშვთან ერთად ცხოველების სილუეტები მუყაოსგან, შესაძლებელია სახლში არსებული რაიმე ძელი ყუთის დაჭრა და გამოყენება, გამოჭრისას ყურადღება მიაქციეთ, რომ ამა თუ იმ ცხოველისთვის დამახიასებელი გარეგნული ნიშნები გამოკვეთოთ: ყურები, კუდი, ცხვირი, რქები, მაგალითად კურდღლის ყურები და მელისა ყურები სხვადასხვა ფორმის იქნება. სთხოვეთ ბავშვს, გააფერადოს სურვილის მიხედვით, აალაპარაკეთ ცხოველები, დადგით პატარა თოჯინების თეატრი.



41. კონტურში გაფერადების სწავლება

- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- კონტურების დაცვით გაფერადება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაო
- თეთრი ქაღალდი
- ფანქრები, ფლომასტერები ან საღებავი



აქტივობის აღწერა: მუყაოს ფურცელზე შიგნით ამოჭერთ რაიმე ცხოველის ან საგნის კონტურები, ისე, რომ თეთრ ქაღალდზე მისი დადებისას, ჩანდეს კონტურები, სთხოვეთ ბავშვს, გააფერადოს თეთრი ფურცელი კონტურის შიგნით. გაფერადებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ, ფანქრები, ფლომასტერები, ან გუაშები. გუაშები შესაძლებელია ფუნჯებით ან ბამბით, ან ღრუბლის ნაჭრით წაუსვას ბავშვმა კონტურებს შიგნით. შემდეგ, მუყაოს მოაცილებით და დარჩება გაფერადებული ნაწილი.

42. გაცოცხლებული ქვები

ვითარდება უნარები:


- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- წარმოსახვა და შემოქმედებითობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფურცელი
- პატარა და საშუალო ზომის ქვები
- ფურცლები;
- ფერადი ფანქარი ან ფლომასტერი.



აქტივობის აღწერა: თეთრ ფურცელზე დადეთ 1 ან 2 ქვა, სხვადასხვა ადგილას, კითხეთ ბავშვს, ქვის ფორმა რას



აგონებს, მიხატეთ ქვას ხელები, ფეხები და აქციეთ ადამიანის გამოსახულებად, თუ გარშემო სხივებს მიახატავთ, მზეს დაემსგავსება, მიახატეთ ტანი, კუდი, ყურები და დაამსგავსეთ რომელიმე ცხოველს, ნიმუშების ჩვენებს შემდეგ წაახალისეთ ბავშვი, თვითონ გაუჩნდეს იდეები, კიდევ რა კომპოზიციის შექმნა შეიძლება, ფურცლის დანარჩენი ნაწილი გააფორმეთ გემოვნების მიხედვით, ბალახი, ცა, ხეები, სახლი და ა.შ



43. „არქეოლოგია“

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება
- ტაქტილური აღქმა
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- ენა, მეტყველება, კომუნიკაცია



აქტივობის
განხორციელებისთვის საჭირო
რესურსები:

- ✓ რამდენიმე პატარა სათამაშო ან ნივთი
- ✓ ფქვილი (სასურველია შერეული მასალა: მჭადის და ხორბლის ფქვილი, ლობიოს მარცვლები, წიწიბურა, ბრინჯი)

აქტივობის აღწერა: ერთმანეთში აურიეთ

რამდენიმე სახის მარცვლეული, ან

შესაძლებელია გამოყენებულ

იქნეს მხოლოდ ერთი სახის

მარცვლეული, ან მხოლოდ

ფქვილი, ჩაყარეთ საშუალო

ზომის, ან მოზრდილ ჯამში,

შემდეგ დაახლოებით 10-მომცეო

ზომის ნივთი ჩამალეთ შიგნით,

მაგალითად პატარა სათამაშოები,

საშლელი, ბოთლის თავსახური და სხვა. ბავშვს უთხრით, რომ შიგნით

დამალულია სათამაშოები, ხელებით უნდა მოძებნოს და ამოიღოს, შესაძლებელია

გამოიყენოს პატარა კოვზი ან ნიჩაბიც, შემდეგ ისევ დამალოს და იპოვოს.



გახსოვდეთ, დაიცავით უსაფრთხოება, ყველა ნივთი უნდა იყოს უსაფრთხო, არ იყოს ბასრი, წვეტიანი და ა.შ

44. სახალისო ბიოლოგია

ვითარდება უნარები:

- ვიზუალურ-მოტორული უნარები;
- ნატიფი მოტორული უნარები;
- აზროვნება;



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:


- ადამიანის სხეულის სურათი;
- შინაგანი ორგანოების სურათები;
- მაკრატელი;
- ფურცლის წებო ;




აქტივობის აღწერა: სახალისო ბიოლოგიის მასალები მიეცით ბავშვს და სთხოვეთ მაკრატლით გამოჭრას შინაგანი სხეულის ნაწილები და ქაღალდის წებოთი დააკრას სხეულის შესაბამის ადგილებზე. იმისთვის რომ ბავშვს გაუადვილდეს სხეულის ნაწილების სწავლა, სასურველია ერთ ჯერზე მივაწოდოთ 2-3 სხეულის ნაწილი, რათა სურათზე კარგად გამოჩნდეს ყველა შინაგანი ორგანო. გამზადებული მასალები მოცემულია შემდეგ ფურცელზე.


ადამიანის სხეული

გამოჭერი და დააწეზე შესაბამის ადგილზე შინაგანი
ორგანოები






ტვინი



ფილტვები




სწორი ნაწლავი




დიაფრაგმა



ღვიძლი




თირკმელები




კ უ ჭ ი




წვრილი ნაწლავი



გ უ ლ ი



პანკრეასი



ელენთა



ნაღვლის ბუშტი

45. სახალისო ბიოლოგია და კითხვა

ვითარდება უნარები:

- ვიზუალურ-მოტორული;
- ნატიფი მოტორული;
- აზროვნება;
- კითხვა;



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:


- ადამიანის სხეულის სურათი;
- შინაგანი ორგანოების სურათები;
- მაკრატელი;
- ფურცლის წებო ;




აქტივობის აღწერა: შინაგანი ორგანოების სურათები მაკრატლით დააცალკევით ნაწერებისგან და ადამიანის სხეულის სურათზე წინასწარ დააწებეთ. მიეცით ბავშვს გამოჭრილი სიტყვები და სთხოვეთ სწორად დააწებოს შესაბამის შინაგან ორგანოს. ამ უნარის დასწავლის შემდეგ ბავშვს აქტივობა პირიქით გააკეთებინეთ. ადამიანის სხეულის სურათზე შინაგანი ორგანოების სიტყვების სურათები დააწებეთ და ბავშვს სთხოვეთ შესაბამის სიტყვის სურათს შინაგანი ორგანოს სურათი დააწებოს . გამზადებული მასალა მოცემულია შემდეგ ფურცელზე.


ადამიანის სხეული

გამოჭერი და დააწეზე შესაბამის ადგილზე შინაგანი
ორგანოები







გული



ელენტა




თირკმელები




კუჭი




ნაღვლის ბუშტი




პანკრეასი



სწორი ნაწლავი




ტ ვ ი ნ ი



ფილტვები



ღვიძლი



წვრილი ნაწლავი